

შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტი“

აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

დამტკიცებულია რექტორის მიერ

ბრძანება № 01-01/49 " 14 " ივლისი 2017წ.

შეტანილი ცვლილება: 1. 2017 წლის 27 ნოემბრის ბრძანება №0101/84;

2. 2019 წლის 02 აპრილის ბრძანება №01-01/33

თბილისი



აკადემიური პერსონალის აფილირების წესი და პირობები

მუხლი 1. მოქმედების სფერო

ეს წესი არეგულირებს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში (შემდგომში - უნივერსიტეტი) აკადემიური თანამდებობის მქონე პირთა აფილირების წესსა და პირობებს.

მუხლი 2. აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების მიზანი

2.1. შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტი“-ის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების მიღების მიზანია უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ერთის მხრივ აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა, ასევე შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა სახის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის შესრულებიდან, აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და მეორეს მხრივ უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში შეუზღუდავად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

2.2. შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის მიერ აფილირება განიხილება როგორც აკადემიური პერსონალის ლოიალობისა და წახალისების ერთერთი ინსტრუმენტი, რომლის მიზანია შექმნას შიდა საუნივერსიტეტო კონკურენტული აკადემიური გარემო, გაზარდოს აკადემიური პერსონალის მოტივაცია და აქტივობა;

მუხლი 3. აფილირება

3.1. უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც აკადემიური თანამდებობის პირი ადასტურებს თავის აფილირებას მხოლოდ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:



- ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს;
- ბ) აქტიურად არის ჩართული შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/ შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
- გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

მუხლი 4. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებები და ვადებულებები

- 4.1. უნივერსიტეტში აკადემიური პერსონალისათვის აფილირება არის ნებაყოფილობითი.
- 4.2. აფილირების წესის სრულფასოვანი რეალიზაციისთვის უნივერსიტეტის აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უფლება აქვს:
 - ა) პროგრამის/საგანმანათლებლო კურსის ინიცირების, შემუშავებასა და განხორციელებაში დახმარების (საჭირო რესურსები, მათ შორის ფინანსური, გადამზადება, ლიტერატურის შესყიდვა, ა.შ) მოთხოვნის.
 - ბ) შემოიტანოს სამეცნიერო კვლევითი პროექტის განაცხადი და შესაბამისი პროცედურების გავლით მოითხოვოს დაფინანსება/თანადაფინანსება უნივერსიტეტიდან.
 - გ) მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებულ გადამზადებისა და პროფესიული განვითარების კურსებში ყოველგვარი საზღაურის გარეშე.
 - დ) შეუზღუდავად მიიღოს მონაწილეობა უნივერსიტეტის მიერ განხორციელებულ ყველა პროექტსა და/ან ღონისძიებაში.
 - ე) არჩეულ იქნას უნივერსიტეტის აკადემიურ ან ფაკულტეტის საბჭოში
 - ვ) ინფორმირებული იყოს აკადემიური საბჭოს, ასევე ფაკულტეტის საბჭოს დღის წესრიგისა და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ.
 - ზ) აფილირებული პირი აკადემიური დატვირთვის და საკუთარი პროფესიული საქმიანობის შესრულებით იღებს აკადემიური თანამდებობის შესაბამისად დამტკიცებულ ანაზღაურებას ყოველთვიური ხელფასის სახით.
- 4.3. აფილირებული პირებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგ პრივილეგიებს:
 - ა) აფინანსებს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ გთუნის სახელით მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალასა და სტატია/პუბლიკაციას;



- ბ) აფინანსებს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული პირის ან მის მიერ მომზადებულ სტუდენტის გთუნის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს;
- გ) აფილირებული პერსონალისათვის იყენებს წახალისების ფინანსურ მექანიზმებს: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი და სხვა;
- დ) აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას;
- ე) ნებას რთავს, რომ აფილირებულმა პირმა მოახდინოს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემის კორექტირება - ერთი აკადემიური წლისთვის შეამციროს პედაგოგიური დატვირთვა და გაზარდოს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი.

მუხლი 5. აფილირების წესი და პირობები

- 5.1. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის მქონე პირის აფილირება ხდება, როგორც აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის სურვილის დაფიქსირებისას, ასევე წესის მიღებისას აკადემიური თანამდებობის მქონე პირების მიერ შესაბამისი აფილირების შეთანხმების ხელმოწერით დადასტურებით;
- 5.2. უნივერსიტეტში აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას კონკურსანტის მიერ უნივერსიტეტთან აფილირებაზე წინასწარ გაცხადებული თანხმობა, საკონკურსო კომისიის მიერ, თანაბარი მონაცემების მქონე კანდიდატთა შერჩევისას, შესაძლოა მიჩნეული იქნას კონკურსანტებს შორის უპირატესობის მინიჭების საფუძველად, რის თაობაზეც კონკურსანტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებული.
- 5.3. კონკურსანტის აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში მასთან ფორმდება შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება, აფილირებული აკადემიური თანამდებობის მქონე პირის უფლებებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით.
- 5.4. იმ შემთხვევაში თუ აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი მოახდენს აფილირებას სხვა უსდსთან, ის შესაძლოა დარჩეს აკადემიურ თანამდებობაზე, თუმცა შეცვლილი შრომითი პირობებითა და ხელშეკრულებით.
- 5.5. უნივერსიტეტის აკადემიურ თანამდებობაზე მყოფი პირი, რომელსაც სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში აქვს აკადემიური/სასწავლო დატვირთვა, ვალდებულია აღნიშნულის შესახებ ყოველი სასწავლო წლის დაწყებამდე (აგრეთვე, ნებისმიერ დროს, დატვირთვის გაზრდისას, ასეთი ცვლილებიდან 10 დღის განმავლობაში) წარმოადგინოს ინფორმაცია აკადემიური დატვირთვის რაოდენობის, მათ შორის, მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ხელმძღვანელობის შესახებ.
- 5.6. აფილირების შესახებ შეთანხმების ფორმას ამტკიცებს რექტორი.
- 5.5. წინამდებარე წესის მოთხოვნათა დარღვევა ავტომატურად იწვევს შრომითი ხელშეკრულების მოშლას.



მუხლი 6. ცვლილებების შეტანის წესი

აკადემიური პერსონალის აფილირების წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება რექტორის ბრძანებით.



აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის დასაკავებელ კონკურსში მონაწილე პირის

თანხმობა

მე -----პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის შემთხვევაში აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს გთუნი-ს. იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან, თანახმა ვარ შემეცვალოს ან შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება.

----- /ხელმოწერა/



აფილირების შესახებ აკადემიური თანამდებობის მქონე პირის
თანხმობა

მე ----- პ/ნ----- თანხმობას ვაცხადებ, რომ აფილირებული ვიყო შპს „გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტთან“, ამ უნივერსიტეტის სახელით მივიღო მონაწილეობა საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში და ჩემი კვლევის შედეგები ჩაეთვალოს გთუნი-ს. იმ შემთხვევაში, თუ მოვახდენ აფილირებას სხვა უსდ-სთან, თანახმა ვარ შემეცვალოს ან შემიწყდეს შრომითი ხელშეკრულება.

----- /ხელმოწერა/



შრომითი ხელშეკრულება არააფილირებულ აკადემიურ პერსონალთან

თბილისი

„-----“ „-----“ 201 წ.

ერთი მხრივ, შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, რექტორი გიორგი მათიაშვილის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“), და მეორე მხრივ, მოქალაქე ----- (შემდგომში

„დასაქმებული“), ვთანხმდებით შემდეგზე

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ეს ხელშეკრულება, შრომის კანონმდებლობასთან და დამსაქმებლის შინაგანაწესთან ერთად, არეგულირებს შრომით ურთიერთობებს დასაქმებულსა და გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

1.2. დამსაქმებელი იწვევს კონკურსის წესით შერჩეულ დასაქმებულს შპს გურამ თავართქილამის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის -----

---- ფაკულტეტზე -----

მიმართულებით ----- პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

1.3. დასაქმებული როგორც არააფილირებული აკადემიური პერსონალი მონაწილეობას მიიღებს სასწავლო პროცესში და უხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას თანამედროვე სტანდარტებისა და უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად.

1.4. დასაქმებულის საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება მიმართულებაზე (კათედრაზე) არსებული ინდივიდუალური საათობრივი დატვირთვის გეგმის მიხედვით. ინდივიდუალური საათობრივი დატვირთვის გეგმა დგება უნივერსიტეტში მოქმედი წესებით.

II. მხარეთა უფლება-მოვალეობები

2.1. დასაქმებული უფლებამოსილია:

ა) ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს იმუშაოს შეთავსებით დამსაქმებლის თანხმობის გარეშე.

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთანაა დაკავშირებული

გ) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;

დ) სამუშაოს დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 30 სამუშაო დღით. მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. თუ დასაქმებულს შეუწყდა ხელშეკრულება მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლამდე მას შვებულება არ მიეცემა.



- ე) მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.
- ვ) შეასრულოს აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით განსაზღვრული სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი როგორც სხვა უნივერსიტეტთან აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა.
- ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით მინიჭებული სხვა უფლებები.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განხორციელება და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად უხელმძღვანელოს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
- ბ) შეასრულოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფაკულტეტზე მოქმედი წესები;
- გ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, შეასრულოს მართვის ორგანოთა გადაწყვეტილებები და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესები სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და შრომითი დისციპლინის სფეროში. დასაქმებული უფლებამოსილია აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემით განსაზღვრული სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი შეასრულოს როგორც სხვა უნივერსიტეტთან აფილირებულმა აკადემიურმა პერსონალმა. უნივერსიტეტში მოქმედი წესები (მათ შორის შინაგანაწესი) წარმოადგენს ხელშეკრულების შემდგენელ ნაწილს.
- დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას;
- ე) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, უნივერსიტეტში მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი წესები.
- ვ) უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
- ზ) არ გაამჟღავნოს დამსაქმებლის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ორგანიზაციაში საქმიანობის შედეგად;
- თ) მთლიანად მოახმაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო უნივერსიტეტის ინტერესებს.

2.3 დამსაქმებელი უფლებამოსილია

- ა) დასაქმებულს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესრულება და დაცვა. ასევე, დასაქმებულისგან მოითხოვოს ინფორმაცია მასზე დაკისრებული სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.
- ბ) კანონმდებლობის ფარგლებში დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები.



გ) დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2.4 დამსაქმებელი ვალდებულია:

- ა) ხელი შეუწყოს დასაქმებულს თავისი ფუნქციების განხორციელებაში;
- ბ) მოახდინოს დასაქმებულის მიერ ჩატარებული ლექცია (პრაქტიკული სამუშაოების) ზუსტი აღრიცხვა;
- გ) რეგულარულად აუნაზღაუროს დასაქმებულს შესრულებელი სამუშაო
- დ) მუდმივად იზრუნოს დამსაქმებლის სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.
- ე) დაიცვას ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტში მოქმედი წესებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

2.5. დასაქმებული ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო უნივერსიტეტში არსებულ წესებს და ეთანხმება მას.

III. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის ყოველთვიური ანაზღაურება როგორც არაფილირებული აკადემიური პერსონალი 201 წლის ----- 201 წლის ----- მდე წლიური საათობრივი დატვირთვის შესაბამისად არის ----- ლარი (კანონით დადგენილი დაქვითვების გათვალისწინებით).

3.2. 3.1. მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მომდევნო წლიური საათობრივი დატვირთვის შესაბამისად განისაზღვრება დასაქმებულის ყოველთვიური ანაზღაურება.

3.3. უნივერსიტეტს უფლება აქვს დასაქმებულს არ აუნაზღაუროს ის საათები, რომლებიც მის მიერ იქნა გაცდენილი და არ იყო დამატებით ჩატარებული. IV. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1 ხელშეკრულება შეწყდება:

- ა) მხარეთა შეთანხმებით;
- ბ) ვადის გასვლით;
- გ) ხანგრძლივი შრომისუუნარობის შემთხვევაში თუ შრომის უუნარობა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს.
- დ) დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;
- ე) შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

4.2 თუ დასაქმებული ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, ან აპირებს ხელშეკრულების შეწყვეტას, მან ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს უნივერსიტეტი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

V. დავის გადაწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით

5.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა შეიძლება გადაწყდეს სასამართლო წესით.



VI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

- 6.1. ხელშეკრულება მოქმედებს 201 წლის ----- 20 --- წლის -----
- 6.2. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით -----
- 6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ერთი პირი გადაეცემა გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო მეორე – დასაქმებულს.
- 6.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შევიდეს, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით

მხარეთა რეკვიზიტები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი
ხელმოწერა -----
თბილისი, სამღერეთის ქუჩა #5

მოქალაქე -----
პირადობის მოწმობის # -----
პირადი ნომერი -----
მისამართი -----
ტელ.სახლის, მობილურის -----
ხელმოწერა -----



შრომითი ხელშეკრულება აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან

თბილისი

„-----“ „-----“ 201 წ.

ერთი მხრივ, შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის, რექტორი გიორგი მათიაშვილის სახით (შემდგომში „დამსაქმებელი“), და მეორე მხრივ, მოქალაქე --
----- (შემდგომში

„დასაქმებული“), ვთანხმდებით შემდეგზე

I. ხელშეკრულების საგანი

1.1. ეს ხელშეკრულება, შრომის კანონმდებლობასთან და დამსაქმებლის შინაგანაწესთან ერთად, არეგულირებს შრომით ურთიერთობებს დასაქმებულსა და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს შორის.

1.2. დამსაქმებელი იწვევს კონკურსის წესით შერჩეულ დასაქმებულს შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის -----

---- ფაკულტეტზე -----

მიმართულებით ----- პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად.

1.3. დასაქმებული როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალი განახორციელებს სასწავლო სამეცნიერო-კვლევით სამუშაოებს თანამედროვე სტანდარტებისა და უნივერსიტეტში დადგენილი წესების შესაბამისად

1.4. დასაქმებულის საათობრივი დატვირთვა განისაზღვრება მიმართულებაზე (კათედრაზე) არსებული ინდივიდუალური საათობრივი დატვირთვის გეგმის მიხედვით. ინდივიდუალური საათობრივი დატვირთვის გეგმა დგება უნივერსიტეტში მოქმედი წესებით.

II. მხარეთ უფლება-მოვალეობები

2.1. დასაქმებული უფლებამოსილია:

ა) ძირითადი სამუშაოდან თავისუფალ დროს იმუშაოს შეთავსებით დამსაქმებლის თანხმობის გარეშე.

ბ) მოითხოვოს ინფორმაცია, რომელიც მის მიერ სამუშაოს სათანადო შესრულებასთანაა დაკავშირებული

გ) მოითხოვოს დამსაქმებლისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი მოვალეობების შესრულება;

დ) სამუშაოს დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ ისარგებლოს ანაზღაურებადი შვებულებით არანაკლებ 30 სამუშაო დღით. მხარეთა შეთანხმებით შვებულება შეიძლება მიეცეს აღნიშნული ვადის გასვლამდეც. თუ დასაქმებულს შეუწყდა ხელშეკრულება მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლამდე მას შვებულება არ მიეცემა.



- ე) მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობაში უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად.
- ვ) დამოუკიდებლად განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა და სამეცნიერო შრომების გამოქვეყნება;
- ზ) განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტში მოქმედი წესებით მინიჭებული სხვა უფლებები.

2.2. დასაქმებული ვალდებულია:

- ა) თავისი კომპეტენციის ფარგლებში უზრუნველყოს სასწავლო პროცესის განხორციელება და უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესაბამისად უხელმძღვანელოს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.
- ბ) შეასრულოს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ფაკულტეტზე მოქმედი წესები;
- გ) დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესი, შეასრულოს მართვის ორგანოთა გადაწყვეტილებები და უნივერსიტეტში მოქმედი სხვა წესები სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობისა და შრომითი დისციპლინის სფეროში. უნივერსიტეტში მოქმედი წესები (მათ შორის შინაგანაწესი) წარმოადგენს ხელშეკრულების შემდგენელ ნაწილს. დ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის ქონებას;
- ე) კეთილსინდისიერად შეასრულოს დაკისრებული მოვალეობები, უნივერსიტეტში მის საქმიანობასთან დაკავშირებული მოქმედი წესები.
- ვ) უზრუნველყოს მისთვის ჩაბარებული დოკუმენტაციის ჯეროვანი დაცვა;
- ზ) არ გაამჟღავნოს დამსაქმებლის კონფიდენციალური ინფორმაცია, რომელიც მისთვის ცნობილი გახდა ორგანიზაციაში საქმიანობის შედეგად;
- თ) მთლიანად მოახმაროს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო დრო უნივერსიტეტის ინტერესებს.
- ი) მოახდინოს აფილირება გთუნი-სთან, რაც გულისხმობს უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ გთუნი-სთან, გთუნი-ის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და ამ უსდ-ში:
- ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას, ხოლო მისი კვლევის შედეგები ეთვლება გთუნი-ს;
 - აქტიურად არის ჩართული გთუნი-ში საგანმანათლებლო, კვლევით და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;
 - აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა აკადემიური/სამეცნიერო ხელმძღვანელობის პროცესებში.



2.3 დამსაქმებელი უფლებამოსილია

ა) აფილირებული პირებისათვის უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შემდეგ პრივილეგიებს:

- აფინანსებს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ გთუნის სახელით მომზადებულ სახელმძღვანელოს/მეთოდურ მასალასა და სტატია/პუბლიკაციას;
- აფინანსებს (სრულად ან ნაწილობრივ) აფილირებული პირის ან მის მიერ მომზადებულ სტუდენტის გთუნის სახელით საერთაშორისო ფორუმებში/კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯებს;
- აფილირებული პერსონალისათვის იყენებს წახალისების ფინანსურ მექანიზმებს: ერთჯერადი ფულადი ჯილდო, პრემია, ხელფასის დანამატი და სხვა;
- აფინანსებს (სრულად/ნაწილობრივ) აფილირებული პირის მიერ კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებას;
- ნებას რთავს, რომ აფილირებულმა პირმა მოახდინოს ყოველწლიური ინდივიდუალური დატვირთვის სქემის კორექტირება - ერთი აკადემიური წლისთვის შეამციროს პედაგოგიური დატვირთვა და გაზარდოს სამეცნიერო/კვლევითი კომპონენტი.

ბ) დასაქმებულს მოსთხოვოს წინამდებარე ხელშეკრულებისა და გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტში მოქმედი წესების შესრულება და დაცვა. ასევე, დასაქმებულისგან მოითხოვოს ინფორმაცია მასზე დაკისრებული სამუშაოების შესრულების მიმდინარეობის შესახებ.

გ) კანონმდებლობის ფარგლებში დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიებები.

დ) დააზუსტოს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულების ცალკეული გარემოებები, რომელიც არსებითად არ ცვლის ხელშეკრულების პირობებს.

2.4 დამსაქმებელი ვალდებულია:

ა) ხელი შეუწყოს დასაქმებულს თავისი ფუნქციების განხორციელებაში;

ბ) მოახდინოს დასაქმებულის მიერ ჩატარებული ლექცია (პრაქტიკული სამუშაოების) ზუსტი აღრიცხვა;

გ) რეგულარულად აუნაზღაუროს დასაქმებულს შესრულებელი სამუშაო

დ) მუდმივად იზრუნოს დამსაქმებლის სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

ე) დაიცვას ამ ხელშეკრულებით, უნივერსიტეტში მოქმედი წესებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნები.

2.5. დასაქმებული ხელმოწერით ადასტურებს, რომ გაეცნო უნივერსიტეტში არსებულ წესებს და ეთანხმება მას.

III. შრომის ანაზღაურება

3.1. დასაქმებულის ყოველთვიური ანაზღაურება როგორც აფილირებული აკადემიური პერსონალი 201 წლის ----- 201 წლის ----- მდე წლიური საათობრივი დატვირთვის შესაბამისად არის ---



----- ლარი (კანონით დადგენილი დაქვითვების გათვალისწინებით). 3.2. 3.1. მუხლში აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მომდევნო წლიური საათობრივი დატვირთვის შესაბამისად განისაზღვრება დასაქმებულის ყოველთვიური ანაზღაურება.

3.3. უნივერსიტეტს უფლება აქვს დასაქმებულს არ აუნაზღაუროს ის საათები, რომლებიც მის მიერ იქნა გაცდენილი და არ იყო დამატებით ჩატარებული. IV. ხელშეკრულების შეწყვეტა

4.1 ხელშეკრულება შეწყდება:

ა) მხარეთა შეთანხმებით;

ბ) ვადის გასვლით;

გ) ხანგრძლივი შრომისუუნარობის შემთხვევაში თუ შრომის უუნარობა აღემატება ზედიზედ 40 კალენდარულ დღეს ან 6 თვის განმავლობაში საერთო ვადა აღემატება 60 კალენდარულ დღეს.

დ) დასაქმებულის მხრიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

ე) თუ აკადემიური პერსონალი უარს განაცხადებს გთუნი-სთან აფილირებაზე ან სხვა უსდ-სთან მოახდენს აფილირებას უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეწყვიტოს მასთან ხელშეკრულება ან განუსაზღვროს აფილირებული აკადემიური პერსონალისაგან განსახვავებული ანაზღაურების პირობები.

ვ) შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევაში.

4.2 თუ დასაქმებული ვერ ასრულებს თავის მოვალეობებს, ან აპირებს ხელშეკრულების შეწყვეტას, მან ერთი თვით ადრე უნდა გააფრთხილოს უნივერსიტეტი ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე.

V. დავის გადაწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სადაო საკითხები წყდება მხარეთა ურთიერთმოლაპარაკებით

5.2. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა შეიძლება გადაწყდეს სასამართლო წესით.

VI. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

6.1. ხელშეკრულება მოქმედებს 201 წლის ----- 20 --- წლის -----

6.2. ხელშეკრულება იდება განუსაზღვრელი ვადით -----

6.3. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად, ერთი პირი გადაეცემა გურამ თავრთქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტს, ხოლო მეორე – დასაქმებულს.

6.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შევიდეს, მხოლოდ მხარეთა ურთიერთშეთანხმებით.



მხარეთა რეკვიზიტები:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი
გიორგი მათიაშვილი
ხელმოწერა -----
თბილისი, სამღერეთის ქუჩა #5

მოქალაქე -----
პირადობის მოწმობის # -----
პირადი ნომერი -----
მისამართი -----
ტელ.სახლის, მობილურის -----
ხელმოწერა -----